საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

F

F550 N 7167

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990 შაბათი 2 ივნისი №65 (10302) ფასი 3 კაპ.

საქ. კპ. ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ.

## კვლავ შეიკრიბა კონსორციუმი ანუ მისი დღევანდელი მიზნები

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვიუწყებოდით შავიზღვისპირეთის მრავალდარგოვანი ექსპერიმენტალური კონსორციუმი „კოლხის" შექმნის თაობაზე, რომლის დამფუძნებელ ყრილობაზე შეიკრიბნენ რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონების საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონსორციუმის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გახდა სუბტროპიკული მეურნეობა, მეთევზეობა, ტურიზმი და რეკრეაციული სამსახური, საკურორტო მშენებლობა, ახალი და უახლესი ტექნიკის, უპირველეს მოხმარების საქონლის წარმოება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

ამჯერად კონსორციუმის მესვეურნი მეორეჯერ შეიკრიბნენ. დირექტორთა საბჭოს გაფართოებულ სხდომას ესწრებოდა 38 საწარმოს, ორგანიზაციის და კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, რომლებმაც შეიმუშავეს წინადადებები კონსორციუმის სტრუქტურული სქემისათვის. კონსორციუმის მუშა ჯგუფის (ს. კანკავა, ჯ. მჭედლიშვილი, ა. ჯოლოხავა, ზ. მეტრეველი, ქ. გაგუა) მიერ შემუშავებული სტრუქტურული სქემა წარმოადგინა კონსორციუმის მთავარმა მენეჯერმა ელგუჯა შენგელიამ.

პირველ და მთავარ საკითხზე, კონსორციუმის საკუთარ კომერციულ ბანკზე, მის უფლებებზე და დებულებებზე ისაუბრა კონსორციუმის პრეზიდენტმა ოთარ ფაცაციამ.

მან აღნიშნა, რომ კონსორციუმის სიცოცხლისუნარიანობა და ასე ვთქვათ, „ბრძოლა არსებობისათვის" დამოკიდებულია კომერციულ ბანკზე, რომლის საშუალებით მთლიანად კონსორციუმს ექნება მყარი დასაყრდენი შემდგომი მუშაობისათვის. ისიც აღინიშნა, რომ შემოთავაზებული დებულება არაა დოგმა და მის შესახებ ხალხმა დანამდვილებით გამოთქვათ თავიანთი ახალი თუ კორექტირებული წინადადებები.

მართლაც დიდი იყო დაინტერესება საბჭოს მუშაობაში მონაწილეთა მხრიდან. უახლოეს მომავალში კონსორციუმი ალტერნატიულ საფუძველზე აირჩევს კომერციული ბანკის მმართველს.

კონსორციუმის სტრუქტურული სქემისათვის გამოითქვა შემდეგი წინადადებანი: ტუნგის ზეთისა და მისგან ტექნიკური საღებავის წარმოება, ჩაის ხელექციური ჯიშებიდან სამარკო პროდუქციის წარმოება, პალიასტომის ტბიდან საპროპელის მოპოვება და მისგან პროდუქტების წარმოება, ჩაის საწონი ერთობლივი საწარმოს შექმნა ისრაელის ფირმებთან, ხამი აბრეშუმის ძაფის წარმოება, დეკორაციული და ოთახის ხეხილოვანი სუბტროპიკული კულტურების გამოყვანა და რეჰანის ზეთის წარმოება საგარეო ბაზარზე რეალიზაციისათვის. კოლხეთში ევკალიპტის განაშენება და მისი გადამამუშავებელი საწარმოს ორგანიზება, ხელოვნური ფიჭის, მინი-ხორცკომბინატის, კალციტის გადამამუშავებელი საწარმოთა შექმნა, მრავალფეროვანი ასორტიმენტით კონსერვირებული პროდუქტების წარმოების ორგანიზება

აი, ის საკითხები და წინადადებები, რომლის გარშემო გაიმართა ბჭობა წარმოებების დირექტორებს შორის.

ამ საკითხებთაგან მინდა გამოვყო ჩვენი არსებობისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ეკოლოგიის რამდენიმე საკითხი, რომელიც მთელი სერიოზულობით დაისვა სხდომაზე.

პროფესორმა ა. მოწერელიამ ისაუბრა იმ სავალალო მდგომარეობაზე, როგორშიც დღეს იმყოფება პალიასტომის ტბა. მის ფსკერზე თანდათან დიდი რაოდენობით დაგროვდა საპროპელ-ტორფის მსგავსი ხრწნადი ნივთიერება, რომელიც დღითიდღე აუარესებს ტბის სიცოცხლისუნარიანობას.

კონსორციუმის მუშა ჯგუფმა შეიმუშავა სასიკეთო წინადადება საპროპელის, როგორც ორგანული სასუქის გამოყენების საკითხი მიწათმოქმედებაში მეცხოველეობაში და ვეტერინარიაში, ჰიდრომელიორაციულ მშენებლობაში და საშენ მასალათა წარმოებაში, მედიცინაში.

მუშა ჯგუფის მიერვე შემოთავაზებულ იქნა წინადადება საპროპილის წარმოებისათვის ერთობლივი საწარმოს შექმნა. ამასთანავე საპროპილის ორგანული სასუქების შესყიდვის სურვილი აქვს არაბეთის გაერთიანებულ ემირატებს და კუვეიტს.

ამ საკითხის გადაწყვეტით გაკეთდება რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმე. მათ შორის ყველაზე აუცილებელი — პალიასტომის ტბის გადარჩენა.

ეკოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით რამოდენიმე საინტერესო წინადადება გამოითქვა. პირველი ის, რომ გამოიანგარიშონ და დაადგინონ საქართველოს ზუსტი ეკოლოგიური მასშტაბები და შემოწმდეს იგი, მეორე ის, ნიტრატებისა და აზოტების შემცველობის მაჩვენებელი დოზიმეტრები, რომელიც ექნება თითოეულ მოქალაქეს და თვითონვე დაადგენს პროდუქტის ვარგისიანობას.

კონსორციუმის სხდომაზე კიდევ მრავალი საჭირბოროტო, წამომავალი საკითხები დაისახა, დაისახა აგრეთვე მათი გადაჭრის გზები.

ვუსმენდი დამსწრეთა ბჭობას და გული სიამაყით მევსებოდა ქართულ გენში მიძინებული კომერციული ნიჭის გამოღვიძებისა გამო, იმ ნიჭისა, რომელსაც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარეს ნ. ნიკოლაძემ, ძმებმა ზუბალაშვილებმა და სხვებმა. ისღა დაგვრჩენია კეთილი სურვილები ვუსურვოთ კონსორციუმს შემდგომ მუშაობაში, რომელიც კიდევ უფრო გაიფურჩქნება დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში.

ლ. ჯოლოხავა.

## დაიწყო გამოსაშვები გამოცდები

დაიწყო ღირსშესანიშნავი მოვლენა სასკოლო ცხოვრებაში — გამოსაშვები გამოცდები სიმწიფის ატესტატისათვის.

ამ დღეს სიხარულით და ერთგვარი სევდით ხვდებიან მოსწავლეები. სიხარულით, რადგან დამოუკიდებელი ცხოვრების საფეხურზე უნდა შეაბიჯონ, ხოლო მშობლიურ სკოლასთან განშორების მელანქოლიით ახლავს გამოცდებს...

რაიონის 43 საშუალო სკოლის 827 და ქალაქის 15 საშუალო სკოლის 643 კურსდამამთავრებელი მიუჯდა საგამოცდო მერხს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. დილის 9 საათზე ყველა მოსწავლე შეუდგა წერას. წერითი გამოცდის თემები შემდეგი იყო: „მთვარისა და ღამის მოშლერალი გალაკტიონი", „რწმენისა და სამშობლოსათვის თავის დადება ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში", „რასაცა გასცემ შენია..."

საგამოცდო წერის შედეგები დამაკმაყოფილებელია.

**წერილები კორცხელიდან**

## ნახევარი წლის გეგმა ხუთ თვეში

ამ ბოლო წლებში კორცხელის კოლმეურნეობაში სერიოზული გარდატეხა იგრძნობა. შესამჩნევად გაიზარდა ჩაის, მარცვლეულის, აბრეშუმის პარკისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონე. ეს განსაკუთრებით ითქმის მეცხოველეობაზე.

კოლმეურნეობამ პირველი ივნისისათვის გადააჭარბებით შეასრულა რძის როგორც წარმოების, ისე სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნახევარი წლის დავალება. ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული 500 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 520 ცენტნერი რძე. არის სრული გარანტია იმისა, რომ დამატებით ჩავაბაროთ 100 ცენტნერი რძე. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რძის წარმოების დონე გადიდდა 165 ცენტნერით. საშუალოდ ერთი ფურიდან მიღებულია 850 კილოგრამით მეტი რძე.

ამ წარმატებაში დიდია მეცხოველეობის დარგის მუშაკების პალიკო თორდიას, ზაურ კვარაცხელიას, ვალიკო ქობალიას, ზურაბ აქაშიას, ნანული კვარაცხელიას, პარმენ თორდიას და სხვათა წვლილი. ისინი ხანმეტოდ უვლიან მათზე გაპიროვნებულ პირუტყვს და შედეგებიც კარგი აქვთ.

ჩვენ კორცხელელ მეცხოველეებს გვაწუხებს ერთი რამ ზოგჯერ დაუმსახურებლად ვხდებით კრიტიკის ობიექტი. ასე მოხდა ეს ამჯერადაც. თქვენი გაზეთის 24 მაისის ნომერში დაბეჭდილ პუბლიკაციაში „მეცხოველეთა შუქ-ჩრდილები" მოსენიებული ვიყავით, როგორც ჩამორჩენილები. წერილში ნათქვამია, კორცხელმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით წველადობა შეამცირაო. ფაქტიურად კი ჩვენ ამ პერიოდისათვის შემცირება კი არა საგრძნობი მატება გვქონდა რძის წარმოებაში. მართალია, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ჯერ ჯერობით ძვირი გვიჯდება, მაგრამ ამას ჩვენ შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად შევამცირებთ წლის ბოლომდე.

## პრობლემები, რომელიც გვაწუხებს...

მეცხოველეებს მონდომება და შრომა არ გვაკლია, მაგრამ ძალიან გვიჭირს მიწის პრობლემა. იმის გამო, რომ საკმაო ოდენობით მიწის ფართობი არა გვაქვს დღემდე ვერ გადავწყვიტეთ ადგილობრივი წარმოების იაფი საკვების დამზადების პრობლემა. ოთხი წელია ვცდილობთ გამოვნახოთ მეცხოველეობის ახალი ფერმის ნაგებობისათვის ადგილი. მაგრამ ვერ შევძელით. ვერ შევძელით იმიტომ, რომ ნაკვეთი, რომელიც ფერმისათვის შესაფერისად ჩავთვალეთ მეწყრული გამოდგა არა და მშენებლობისათვის უკვე გვაქვს პროექტიც.

მეწყერიანობის გამო 30 ოჯახს შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი. ხვალ და ზეგ კიდევ ვინ იცის რამდენ ოჯახს მოუწევს გადანაცვლება. კორცხელში კი სამოსახლო ნაკვეთის გამოძებნა ძალზე ჭირს. მეწყერიანობას თავი რომ დავანებოთ ხომ უნდა მოხდეს კომლთა გაყოფა და ახალი ოჯახები ხომ უნდა დავასახლოთ. ამისათვის მოსავლიან ჩაის პლანტაციებს ხომ არ ამოვძირკვავთ.

ამ საქმეში კორცხელელებს ხამდვილად გვჭირდება დახმარება.

ტ. ბერაძე,
კორცხელის კოლმეურნეობის ფერმის გამგე.

ეკოლოგია

## მხოლოდ კონტროლი

დღეს ეკოლოგიური პრობლემა ყველას აღელვებს. თუ რამდენად სუფთა პროდუქტს შევიძენთ, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული და უწინარესად საკოლმეურნეო ბაზრის ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიის მოქნილ მუშაობაზეც. ლაბორატორია ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში ნიტრატების შემცველობის შემოწმებას, ადგენს რადიაციის ოდენობას. გასული ორი კვირის მანძილზე ლაბორატორიამ გამოავლინა შემდეგი ფაქტები:

კიტრს, რომელიც ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზარში სარეალიზაციოდ ჰქონდა შემოტანილი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლამბრის მკვიდრს გიორგი ბახტაიანს, აღმოაჩნდა ნიტრატების ჭარბი რაოდენობა.

ასევე დასაშვებ ნორმაზე (500-900 მილიგრამი) ბევრად მეტი ნიტრატი აღმოჩნდა ახალ კომბოსტოში, რომელიც შემოტანილი ჰქონდა აბაშიდან ჯამბულ ლომიძეს. დასაშვები 500-900 მილიგრამის ნაცვლად 1714 მილიგრამი ნიტრატი ჰქონდა აბაშის რაიონის პირველი მაისის კოლმეურნეობის მიერ შემოტანილ ახალ კომბოსტოს (ერთ ტონამდე საერთო წონით). ამ პროდუქციაზე აბაშის სოფლქიმიის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული იყო სერთიფიკატი, სადაც ნიტრატის ოდენობა ფაქტიურზე ნაკლები—517 ეწერა. ასევე ჭარბი ნიტრატების გამო საკვებად უვარგისი (საშიში) ახალი კომბოსტო და კიტრი ჰქონდათ სარეალიზაციოდ აბაშიდან ვასილ ცანავას, რეზო ვეკუას, წყალტუბოელ მაგული დეისაძეს, მარტვილის მკვიდრს დალი წირქვაძეს, სოფელ კახათიდან—ხაშა ნაყოფიასა და სხვებს.

მავნე პროდუქტების შემდგომი რეალიზაცია აღიკვეთა, ამ მიმართულებით კონტროლი და შემოწმებები გრძელდება.

ზ. აბაკელია,
საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი.

სასკოლო ცხოვრება

## არა მხოლოდ შემეცნებითი

ქალაქის მესამე საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის მოეწყო სასწავლო ექსკურსია საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვში", რათა უფრო ღრმად აეთვისებინათ პროგრამით გათვალისწინებული ის საკითხები, რომლებიც ცელულოზას ეხება. მოსწავლეები დაინტერესდნენ ქაღალდის წარმოების ტექნოლოგიით, გაეცნენ სპეციალისტ-მექაღალდეებს, ადამიანებს, რომლებიც სრული პასუხისმგებლობით ასრულებენ თავიანთ სამუშაოს, მისცეს მათ საინტერესო შეკითხვები...

ჩვენ ყოველწლიურად ვაწყობთ სასწავლო ექსკურსიას ენგურქაღალდკომბინატში და ყოველთვის კმაყოფილნი ვრჩებით. წლეულსაც ბევრი სიახლე დაგვხვდა. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ საწარმოში დიდი ყურადღება ეთმობა ეკოლოგიას, სანიტარულ წესრიგს. ვფიქრობთ მსგავსი ექსკურსიები არა მხოლოდ შემეცნებითი მნიშვნელობისაა, არამედ ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია იმისა—ახალგაზრდებმა სხვადასხვა სპეციალობის მიღების შემდეგ იცხოვრონ და იშრომონ მშობლიურ ქალაქში.

თ. ლურწკაია,
ქალაქის მესამე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი.

სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში

## ბუნების ხელყოფა არავის შეპატიება

სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა 1990 წლის 3 იანვრის სხდომაზე განიხილა ქალაქის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა № 4 ქარხნისა და „ხილბოსტანვაჭრობის" ორგანიზაციებში ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხების შემოწმების შედეგები. ამ საკითხის განხილვისას გადაიდო „ხილბოსტანვაჭრობის" დირექტორის გ. ანთელავას პასუხისმგებლობის საკითხი მისი კომიტეტის სხდომაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო. ამჟამად, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა კვლავ განიხილა საკითხი გ. ანთელავას შესახებ.

სხდომაზე ითქვა, რომ გ. ანთელავას მხრიდან დაქვემდებარებული სამსახურების მუშაობაზე სუსტი კონტროლის შედეგად აღნიშნულ ორგანიზაციაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვას. ადგილი აქვს, როგორც კვების პროდუქტების, ასევე საწვავ-საცხები მასალებისადმი უყაირათო დამოკიდებულებისა და გარემოს გაბინძურების ცალკეულ ფაქტებს. კერძოდ, აქ საკვები პროდუქტების შენახვა წარმოებს ისეთ სათავსოებში, სადაც უგულებელყოფილია საკვები პროდუქტების შესანახად საჭირო აუცილებელი პირობები. სათავსოების კედლებიდან ჟონავს წყალი და ჭუჭყდება, რაც იწვევს სხვადასხვა სახის კვების პროდუქტების გაფუჭებას. იქმნება ჰაერისა და ნიადაგის გაბინძურების ხელშემწყობი პირობები.

აქ ყოველგვარ კონტროლს მოკლებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მოვლისა და მათი მხრიდან ბუნების გაბინძურებასთან ბრძოლის საკითხი. არ წარმოებს გამონაბოლქვი მავნე აირების გაზომვა. ნახმარი საწვავ-საცხები მასალა იღვრება ტერიტორიაზე, რომელიც ნიაღვრულ წყლებს ჩააქვს მდინარე ჩხოუშში. ავტომანქანების საბურავი ფურცლების გაცვლა წარმოებს ყოველგვარი მოთხოვნების დაცვის გარეშე. არ ივსება სპიდომეტრის მაჩვენებელი, საწვავ-საცხები მასალა იხარჯება უყაირათოდ.

დაქვემდებარებული სამსახურების საქმიანობაზე მომთხოვნელობისა და კონტროლის მოდუნების, ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის უზრუნველსაყოფად სათანადო ღონისძიებების ვერგატარებლობისათვის „ხილბოსტანვაჭრობის" დირექტორს გ. ანთელავას გამოეცხადა საყვედური.

დ. შეროზია,
კონტროლის საქალაქო კომიტეტის შტატგარეშე ვაჭრობის განყოფილების გამგე.

## როცა ვაჭრობის წესები ირღვევა

სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მუშაკების მიერ შემოწმებულ იქნა ქ. ზუგდიდის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს ენგურქაღალდკომბინატის (უფროსი ზ. ხოსიტალია) ობიექტებში ვაჭრობის წესები.

შემოწმებისას კაფე „ახალგაზრდულში" (გამგე რ. გეთია, მზარეული ზ. ინასარიძე) არ გააჩნდათ მენიუ, ბუფეტის ვიტრინაში არ იყო გამოფენილი სარეალიზაციო კერძების ასორტიმენტი, ფასები არ იყო გამოცხადებული არცერთ კერძზე, არ მუშაობს სალარო აპარატი, სასადილო დარბაზი გადახერგილია მუშა-ტარით, აქ დასაქმებული ხუთი თანამშრომლიდან არცერთს არ გააჩნია სანიტარული წიგნაკი, სამზარეულოში აღმოჩნდა ტექნოლოგიური მოთხოვნების დარღვევით დამზადებული კიტრის მწნილი, რომელზეც არ არის შედგენილი კალკულაცია, სამზარეულოში ანტისანიტარიაა, მაცივარში ერთად ინახება ფარში, უმი ხორცი, მოზელილი ცომი და სხვა პროდუქტები.

ანალოგიური მდგომარეობაა ამავე განყოფილების № 2 ლუდის ბარში (გამგე დ. დგებუაძე, მზარეული გ. ანთელავა) არ გააჩნიათ მენიუ, ვიტრინაში არ არის გამოტანილი სარეალიზაციო კერძების ნიმუშები ასორტიმენტის მიხედვით, ლუდსა და ბურზე ფასი არ არის გამოცხადებული, დარბაზი გადახერგილია მუშა-ტარით, არც ერთ თანამშრომელს არ გააჩნია სანიტარული წიგნაკი, სასადილო დარბაზში ანტისანიტარიაა, მაცივარში ერთად ინახება სხვადასხვა სახის პროდუქტი.

№ 1 გასტრონომში (გამგე ც. დადიანი, სექციონერები თ. ფარცვანია, მ. ნარსია) ფასები არ იყო გამოცხადებული ბურზე, მარგარინზე, სარეალიზაციოდ არ იყო გამოტანილი ყავა, ასორტი, მინერალური წყლები, „ბორჯომი", „ლიკანი" და ა. შ.

№ 11 სასურსათო მაღაზიაში (გამგე-გამყიდველი ტ. ფიფია) ფასების გამოუცხადებლად ახორციელებენ ვაჭრობას. ფასი არ ედო ყველს, კარაქს, კანფეტს, სიგარეტს, მაცივარში ერთად ელაგა სხვადასხვა სახის პროდუქტი, სანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

ვაჭრობის წესის დამრღვევთა მიმართ გატარდება შესაბამისი სასჯელები, შემოწმება კი ქალაქის სხვა სავაჭრო ობიექტებშიც გაგრძელდება.

## სოფელი—ცხოვრების კვალდაკვალ

ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა თავისი არსებობის რამდენიმე ათეულ წელსწადს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენი ხელმძღვანელი გამოუცვლია სოფელს და მეურნეობას. ვინ დათვლის, საფიფიოს უბნელები რამდენჯერ მისულან თხოვნით სოფლის თავკაცებთან მდინარე ჩხოუშზე ხიდის გადების თაობაზე, მაგრამ ამ საქმით დაინტერესებული პასუხი არასოდეს მიუღიათ.

მალე ცხოვრებამ ფერი იცვალა. მეურნეობის მესვეურთა ინიციატივით (დირექტორი ე. ნემსაძე) ჩხოუშზე გაიდო ხიდი, რითაც ნამდვილად საშვილიშვილო საქმე გაკეთდა. გარდა ამისა, აქ ყველაფერი კეთდება მოსახლეობის ელექტროენერგიით ჯეროვანი მომარაგებისათვის. ამ მიზნით სეჭითაიას უბანში ახლოხანს ექსპლოატაციაში შევა ახალი ტრანსფორმატორი 400 ოჯახისათვის. სოფელში ბევრია მრავალშვილიანი ოჯახი, რომლებსაც უფასოდ ეძლევათ პური. მსგავსი შეღავათით სარგებლობენ ზედაეწერში მცხოვრები ინვალიდებიც. უფასოდ იკვებებიან აგრეთვე საშუალო სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეები, ხოლო ფრიადოსან მოსწავლეებს ეძლევათ სტიპენდია 30 მანეთის ოდენობით. სულ ახლო ხანში დაიწყება საშუალო სკოლის დამხმარე შენობის მშენებლობა, რაც სწავლების პროცესს უფრო ეფექტურს გახდის.

გ. ჭითანავა,
სოციალისტური შრომის გმირი.

## ზრუნავენ დედებზე

ჩაქვინჯის კოლმეურნეობის გამგეობა საგრძნობ ყურადღებას უთმობს სოფლის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. გამგეობის გადაწყვეტილებით წლეულს ფულადი დახმარება გაეწია 110 ქალს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 5 და მეტი შვილი, ასევე დახმარება აღმოუჩინეს 17 ბავშვს, 5 მარტოხელა ქალს.

აგრეთვე გათვალისწინებული ახალდაქორწინებულები დასაჩუქრდეს 300-700 მანეთით. შედეგად, წლეულს ქალთა დასახმარებლად გახარჯულია 6270 მანეთი.

ზ. ქალანდია,
დემოგრაფიული საზოგადოების ჩაქვინჯის პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე.

თანადგომა

## მადლობის მეტი რა გვეთქმის

ძნელი დღეები უდგას საქართველოს... სანუკვარი მიზნისაკენ სავალ გზაზე ათასგვარ წინააღმდეგობასთან გვიხდება რკენა.

თანადგომა და გამოწვდილი ხელი იგრძნობა აკადემიკოს ნ. ანთელავას სახელობის ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივისაგან მოწოდებულ სარედაქციო ინფორმაციაში, რომლის შესახებაც გვინდა მკითხველმაც იცოდეს:

1989 წელს მედიკოსებმა სტიქიის მიერ დაზიანებულ აჭარელთა ფონდში გადარიცხეს 5000 მანეთი, ამავე წლის აგვისტოში დემოგრაფიულ ფონდში ჩარიცხეს 2800 მანეთი. 9 აპრილის მემორიალის ფონდისათვის რუსთაველის საზოგადოებას გადასცეს 1800 მანეთი. მიმდინარე წელს კი მედიცინის დარგის მუშაკებმა მერაბ კოსტავას სახელობის საძეგლმამულო ფონდში ჩარიცხეს 3000 მანეთი.

პირადად საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ნ. წასიძემ საკუთარი დანაზოგიდან გაიღო 300 მანეთი.

სამადლობელის მეტი რა გვეთქმის მედიკოსების მიმართ ასეთი თანადგომისათვის.

## გულით გაიხარეს

დიდი ხანია, რაც ცაიშის ეწერის არასრულ საშუალო სკოლაში დაწყებით კლასებს ასწავლის ციალა კაკულია. შეუმცდარი პედაგოგიური ალღოს მქონე მონდომებულმა და გულისხმიერმა პედაგოგმა თავიდანვე დაიმსახურა პატარებისა და მათი მშობლების დიდი სიყვარული.

ზეიმი ჰქონდათ ამ დღეებში პირველკლასელებს, მათ „ანბანის დღესასწაულზე" სტუმრებიც მოიწვიეს. გულისფანცქალით მოელოდნენ პატარების შემოქმედების დემონსტრაციას მშობლები. ნორჩი დეკლამატორები: პაატა [illegible], სერგო ჭეჟია, ნუკრი კვირკველია, სოფო ჭითავა, ბესო თოდუა, ქეთო ჯიქია და სხვები გამართული ქართული ენითა და დიდი ხალისით კითხულობდნენ პოეტურ შედევრებს დედაენაზე, სამშობლოსა და ხალხთა მეგობრობაზე.

გულით გაიხარეს მშობლებმა. მათ იწამეს, რომ აქ დაწყებით განათლებას მტკიცე საფუძველი ეყრება, რაც ბავშვების შემდგომი გამარჯვების საწინდარი იქნება. სწორედ ამიტომ დიდი მადლიერებით აფასებენ ისინი ციალა მასწავლებლის უანგარო შრომით ამაგს.

მშობელთა სახელით
ტ. გეგეჭკორი,
თ. კვირკველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი
## ზუგდიდის კავშირგაბმულობის უფროსს ალექსანდრე გოგიას

ბატონო ალექსანდრე! გაგიკვირდებათ, რომ გითხრათ, ამ ბარათის მოწერას სამი წელიწადია ვფიქრობ—მეთქი! იმასაც მოგახსენებთ, ჩემი ხელობის კაცს ეს მაინცდამაინც არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ, თუ კვებნაში არ ჩამომართმევთ, ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ საკუთარზე საზოგადოებრივი, ანუ კუთხისათვის სარგო, ხან—არანაკლებ სატკივარზე ვისაუბრო ხოლმე ჩემს მწირ პუბლიცისტურ წერილებში. არ დავმალავ, ჩემი თქვენდამი განაწყენება რაში მდგომარეობს. თხუთმეტი წელიწადია ტელეფონი გვიდგას ქუთაისის ქუჩა №82-ში. აქედან, არ შევცდები თუ ვიტყვი, თხუთმეტი თვე არ უმუშავია, ბოლო სამი წელიწადი კი საერთოდ დუმს, ეს არც ისე მოკლე დრო გატოკებს რაა, ყურმილი არ გატოკებულა!... პირადად რამდენჯერ გთხოვეთ, რომ არ გავრა, ვინ ან რა რანგის ქალაქის ხელმძღვანელი ამხანაგი არ შევაწუხეთ ხან მე, ხან —ჩემმა ძმებმა, მაგრამ უშედეგოდ. რა დასამალია და, იმასაც ყური მოვკარი, მოხსნაც კი ნდომებიათ თქვენი, მაგრამ [illegible] სპეციალისტს ვეღარ ვპოულობთო!... ბარაქალა თქვენ... „საქმის ცოდნაც" ასეთი უნდა! [illegible] მეტიც, თურმე ქალაქში 800-მდე ოჯახია ჩვენს მდგომარეობაში და აწი ხმას როგორ ამოვიღებთ, ან ამდენი განაწყენებული ადამიანიდან რა გამოსარჩევი ხალხი ჩვენა ვართ!

ამჯერად რაზე გაწუხებთ.

მოგეხსენებათ, საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების სამეგრელოს საბჭოს ცენტრი ქ. ზუგდიდში, ცოტნე დადიანის ქუჩა №21-ში მდებარეობს. აქვეა ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციაც. ა. წ. თებერვლის თვეში საქალაქო საბჭოს აღმასკომს ერთი სამნიშნა და ორი ხუთნიშნა სატელეფონო ნომერი ვთხოვეთ ორივე ორგანიზაციისათვის, რაც დადებითად გადაწყდა. თურმე ფორმალურად გვეხარეთ. ერთი სამნიშნა და ერთი ხუთნიშნა „გზაში დაიკარგა"... მართალია, ოფიციალურად ვწერთ, ვინ და რომელი ორგანიზაციები დააკმაყოფილეთ ჩვენგან მოპოვებული სატელეფონო ნომრებით, მაგრამ ეს ასე არ გამოვა... თუ რატომ, ამჯერად არ გავაგრძელებ. იმედი მაქვს, ჩემს ღია ბარათს უპასუხებთ და მეც გულწრფელად გეტყვით, თქვენი პასუხის პასუხისთვის შემოვინახე...

ახლახან, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებისა და ქალაქის პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე განაცხადეთ, „კაბელი" არა მაქვს, თორემ... კაბელი შეიძლება მართლაც არ გქონდეთ, რაშიც ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ისეთი ხმები მოდის, რომ შენობაში, სადაც ჩვენი საზოგადოებაა მოთავსებული, თურმე ხუთი სატელეფონო ხაზია... რა ვქნა, „სპეციალისტების ნაკლებობაა" ზუგდიდში და... ვეღარ შეგიმოწმებთ, და თუ ვცოდავ, ჩემს სინდისზე იყოს, თუ არა —თქვენსაზე!

ქრისტეს ერთ იგავს შეგახსენებთ. დედაბერმა ტაძრის ყულაბაში ერთი გროში ჩაუშვა... დაინახა ქრისტემ და თქვა: მდიდრებმა, რასაც ზედმეტი აქვთ, იმას სწირავენ, ხოლო ამ დედაკაცმა უკანასკნელი გროში გაიღო...

თქვენ, ბატონო ალექსანდრე, მდიდარი (სატელეფონო ნომრებით მაინც!) კაცი ბრძანდებით. როგორც მდიდარმა კაცმა ერთი სამნიშნა ტელეფონის ნომერი გაიღეთ ჩვენთვის... იცით, რატომ გვინდა მაინცდამაინც სამნიშნა? თქვენისთანა თანამდებობის კაცი, ასევე ქალაქის ზოგიერთი ხელმძღვანელი ამხანაგი იშვიათად ჰკიდებს ხელს ხუთნიშნა ტელეფონის ყურმილს... ჩვენ კი, არაერთ მსგავს ხელმძღვანელთა გადამკიდე, ხან ღია წერილით, ხან —მიტინგით, ხანაც ტელეფონის ზარით არ მოგთხოვეთ ის, რაც გვეკუთვნის, როგორც იტყვიან, თავი თუ არ მოგაბეზრეთ, მაშინ ეს ჩვენი საზოგადოებაც—საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების სამეგრელოს საბჭო —სხვას, თქვენთვის ბევრ ნაცნობ ან თქვენსავე დაწესებულება-ორგანიზაციას დაემსგავსება!!

ღმერთმა დაგვიფაროს!! —

პატივისცემით —საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების სამეგრელოს საბჭოს თავმჯდომარე, ჟურნალ „ცისკრის" პროზის განყოფილების გამგე, მწერალი **ზაურ კალანდია.**

ეკონომისტის ტრიბუნა

# მთავარია უკუგება

ახლა ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომ არ აწუხებდეს საქართველოს ბედი. როგორი იქნება მისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მომავალი. ამ საკითხებზე მსჯელობენ, ფიქრობენ ეკონომისტებიც, რომლებიც ცდილობენ შექმნილი სიძნელეების დაძლევას, ეკონომიკის გაჯანსაღებას, ძალთა მობილიზებას.

დღეს ნებისმიერ საწარმოში არსებობს დიდი და წვრილმანი საქმე. პრობლემებს სხვა დარგის მუშაკებთან ერთად წყვეტენ მშენებლები, რომელთა მიერ თუნდაც მცირე წვლილის შეტანა ხელეწიფება ერის მომავალს.

ზუგდიდის საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს წინაშე გარკვეული, ხელშესახები ამოცანა დგას: ვაშენოთ ხარისხიანად, მდგრად და საიმედოდ.

მშენებლობის ვადების მდგრადობა რომ ცვალებადია ამას თვალნათლივ ხედავენ შემკვეთები. შექმნილი სიძნელეები, იქნება ეს ხე-ტყის მასალის, წვრილი საკედლე ბლოკის, საარმატურე რკინა-ბეტონის დროზე მოუწოდებლობა თუ სხვა, გარდამავალ ხნის დაწყებულ მშენებლობებს, რაც მნიშვნელოვანწილად მოქმედებს ნაგებობების ხარისხზე. წარმოვიდგინოთ დახურვის პროცესამდე მისული ნაგებობა, სახურავის უქონლობის გამო წვიმასა და თოვლში რომ ფუჭდება. არის სხვა მსგავსი მიზეზებიც, რომელთა ცოდვებსაც მშენებლებს ვერ მივაწერთ. მიუხედავად ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებისა, საბჭომ პირველ კვარტალში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული სამასი ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა, შეასრულა სამასი ათას. ხუთასი მანეთის სამუშაოები, რაც დავალების 101,6 პროცენტს შეადგენს. მიმდინარეობს კახათის კლუბკანტორის მიშენების სამუშაოები, ჭკადუაშში, კოლხიდაში, ჰაქვინჯში იგება ფერმები, ოქტომბერში მინერალური სასუქების შესანახი ნაგებობის, ჩხორიის კლუბის მშენებლობა. წელს დაიწყება სოფლის ამბულატორიის მშენებლობა ყულიშკარში, კავშირგაბმულობის სახლისა ცაიშში, სკოლის მიშენებისა რუხში, დამხმარე ნაგებობის მშენებლობა ონარიაში და რიგ სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში.

სამშენებლო საბჭოს ორგანიზაციაში შემავალ სადურგლო (უფროსი გ. ქორდავა), ბლოკსაჭრელ (უფროსი დ. ბებია) საამქროებში, სილისა და ღორღის კარიერში (უფროსი მ. კიკალიშვილი), მექანიკურ სახელოსნოში (გამგე ო. თოდუა), გამოშვებული პროდუქცია იხმარება ობიექტებზე და ზოგადად იზოგება ახლის მშენებლობის თვითღირებულების გაიაფებაზე. ერთი მომუშავის საშუალო თვიური ხელფასი აღწევს 200 მანეთს, რაც პროპორციულია გამომუშავებასთან.

სიახლე, რომელიც ახლო მომავალში დაინერგება, ეს ზუგდიდის აგროსამრეწველო გაერთიანებასთან არსებული სამეურნეობათშორისო დამხმარე საწარმოთა გაერთიანების ინიციატივასთანაა დაკავშირებული და მოგვცემს დიდ უკუგებას. ჭითაწყარის ტერიტორიაზე იგება უცემენტო საკედლე მასალების ქარხანა, სადაც ცემენტს შეცვლის ურთის კირის კარიერიდან მიღებული ნედლეული. ობიექტი მიმდინარე წლის ბოლომდე(?) [illegible] ამ ქარხნის ექსპლოატაციაში გადაცემით გადაწყდება ერთი მეტად საჭირო და აუცილებელი საქმე.

ორგანიზაციას არ გააჩნია მოწოდებელი(?) ორგანიზაციების დავალიანება. შრომისნაყოფიერების დონე აღწევს 10,2 პროცენტს.

ბანკის ვადაგადაცილებული დავალიანების დაფარვის შემდეგ ორგანიზაცია გადავა შრომის არენდულ ფორმაზე, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

დღეს, როგორც არასოდეს წინა პლანზე დგას ადამიანის ფაქტორი, მისი მომსახურების სფეროს გაუმჯობესება. ამ მიზნით გავაჩნია 12 ბინიანი საერთო საცხოვრებელი, ბიბლიოთეკა, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების ობიექტები. პროფკომიტეტი ერთდროულ დახმარებას უწევს მცირეხელფასიან და მრავალშვილიან ოჯახებს.

საღი აზრი და თამამი ნაბიჯები შექმნის წარმოების ეკონომიკას. მთავარია უკუგება.

**დინარა ლურწკაია,**
საგეგმო განყოფილების გამგე.

# მუსიკა — უპირველეს ყოვლისა!

26 მაისი. ზუგდიდი. პირველი სამუსიკო სკოლა. საკონცერტო დარბაზი მსმენელებს ვეღარ იტევს. საოცარი მღელვარება იგრძნობა: ღელავენ პედაგოგები, ღელავენ მშობლები. ყველაზე მეტად მაინც ბავშვები ღელავენ. უბრალო საქმე როდია. დღეს საგანგებო კონცერტი ტარდება. კონცერტი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 72-ე წლისთავს ეძღვნება. დარბაზში ანთებული სანთლებისა და ყვავილების სურნელი ტრიალებს. უცებ სიჩუმე ეუფლება ყველაფერს. სცენის სიღრმიდან სკოლის დირექტორი ქალბატონი მზია მატკავა გვიახლოვდება და ხსნის საღამოს. მცირეა დარბაზი. მცირეა სცენა. მათ კი სივრცე სჭირდებათ, ისეთი სივრცე, როგორსაც მუსიკა ითხოვს, მაგრამ რა ქნან. აქაც, ამ სივიწროვეშიც მშვენივრად ახერხებენ ყველაფერს. ქალბატონმა მზიამ ერთხელ კიდევ დაანახა დარბაზს, რომ 26 მაისს სხვა სითბო და სილაღე აქვს, სხვა ძალითა და სინათლით შემოვიდა იგი ჩვენს ცხოვრებაში. იგი ყველაზე ახლობელი და ეროვნული დღე გახდა ქართველი კაცისათვის. ჩოლოყაშვილის ეროვნული გრძნობა ხომ ის არის, რაც შენს მიწასთან, შენს ისტორიასთან, შენს ერთობასთან, შენს კულტურასთან გაკავშირებს და რაც ამ მოვლენებთან დამოკიდებულებაში პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას გიმაღლებს.

დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უდიდესი ქართველის მერაბ კოსტავას ხსოვნას. 26 მაისი ხომ მერაბის დაბადების დღეა.

იმ დღეს ერთმანეთს ცვლიდა მუსიკა და პოეზია. მუსიკა — სულისა და სხეულის ხმაური, სულისა და სხეულის ცეკვა, სინათლისა და სიჩუმის მთლიანობა, ცისა და მიწის შეთანხმებული კავშირი. პოეზია—სულისა და სხეულის თავისუფალი სვლა ქვემოდან ზევით—მიწიდან ციური მნათობებისაკენ, სულისა და სხეულის კეთილი დღესასწაული, საკუთარი თავის პოვნა საკუთარი თავიდან გაქცევის შემდეგ და მეც მიხაროდა, რომ დარბაზში სიკეთე დღესასწაულობდა, სიმღერაში, მუსიკაში, პოეზიაში განცხადებული სიკეთე წარსულის მტკივნეული ლაბირინთებიდან გადმოსული და მშობელი მიწის ცრემლიან ყვავილებში აზელილი, უგუნურთა მიერ დევნილი, მაგრამ ვერმოკლული.

ედერძა მშველიძის, დავითაშვილის, კოკელაძის, ფირცხალაიძის, ვეხანიშვილის, მერაბიშვილის მუსიკა. ეს კონცერტი ამ ნიჭიერი პედაგოგებისა და მოსწავლეების ერთობლივი, დიდი შრომის ერთგვარი შეფასებაც იყო.

ლამაზად, დახვეწილი გემოვნებით, ფაქიზად კითხულობდნენ ქართველ პოეტებს და თითოეული მათგანი მართლაც წამებულ ანგელოსს ჰგავდა იმ წუთებში. ვუსმენდი ამ ულამაზეს გოგონებს და საოცრად მჯეროდა, რომ უკეთურება ვერ იდღესასწაულებს ქართულ მიწაზე. ვუყურებდი მათ და ბიბლია მახსენებდა თავს: „სამართალს განიკითხავს იგი ერებს შორის და ამხილებს უთვალავ ხალხს. მახვილებისგან სახნისებს გამოსჭედავენ და შუბებისგან ნამგლებს. ერი ერზე აღარ აღმართავს მახვილს და აღარავინ ისწავლის ომს". ესაია. თავი 2. მუხლი 4. დასანანია, რომ ასეთი მშვენიერი ლონისძიება, რომელიც მარტო სკოლის კი არა ქალაქის ისტორიას ქმნის, ფირზე აღუბეჭდავი დარჩა.

კონცერტზე წარმოდგენილ იქნა ნაწყვეტი გ. შენგელიას პიესიდან „მეგობრობა გზად და ხიდად", რომლის დამდგმელი რეჟისორია დრამატურგის მეუღლე ქალბატონი ი. ცქიტიშვილი. დასასრულს სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა გუნდის მშვენიერი სიმღერები მოვისმინეთ. გუნდს ხელმძღვანელობს ძალიან ნიჭიერი და შრომისმოყვარე პედაგოგი დენიზა ლუკავა. მღეროდნენ ბავშვები, მღეროდნენ და თითოეული მათგანი მლოცველივით იდგა ამ მზით სავსე დარბაზში, როგორც მარადიული საქართველოს უკვდავი სული.

რაღაც უხილავი ძალით დამუხტული და სავსე გამოვედი დარბაზიდან. მივდიოდი და თან მომყვებოდა აუხსნელი სითბო და სიყვარული, რომლითაც იმ დღეს სკოლის კედლები სუნთქავდა, მაგრამ ყველაზე დიდი, რაც იმ დღეს შინ გამომყვა ეს თათულის და სოფიკოს, ნათიას და ხათუნას, თეას და თამარის, იდას და ლოლიტას, მაკას და მარიკას, ვანოს და ირაკლის, სოფიკოს და შორენას, ნინოს და ედუარდის მზესავით ნათელი, ბედნიერებით სავსე თვალების მშვენება იყო. ამ ბავშვებს იმ დღეს სული ქართული მუსიკით, ქართული ლექსით, ქართული ლოცვა-ვედრებით ჰქონდა დატენილი და ყოველ მათგანში ერთიანი, განუყოფელი, დიდი საქართველო სუნთქავდა.

**ნონა დავითაია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტი

# ჩვენი „ოქროს ბიჭები"

სპორტული ტანვარჯიშის მეფურ-დედოფლური მშვენიერების სალმი ხიბლი ჩვენს შემეცნებაში მუდამ უკავშირდება ქართულ სატანვარჯიშო სკოლას, ასე საყოველთაოდ აღიარებულს, რომლის მეწინავე ხაზზე ღირსეულად იდგნენ და დღესაც დგანან ზუგდიდელი სპორტსმენებიც. არაერთი ნიჭიერი ტანმოვარჯიშე და ჩემპიონი აღიზარდა ჩვენს ქალაქში. მათ ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით, მხოლოდ ვიტყვით, რომ მათ აღზრდა-ჩამოყალიბებაში უმთავრესი ღვაწლი მიუძღვის ყველა ზუგდიდელისათვის საყვარელ ადამიანს, სპორტის ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ბატონ ვაჟა ხაბეიშვილს.

და აი, მორიგი წარმატება.

ამა წლის 15-20 მაისს ქალაქ წალენჯიხში ჩატარდა საქართველოს მეათე რესპუბლიკური სპარტაკიადა სპორტულ ტანვარჯიშში, სადაც მონაწილეობდნენ ჩვენი ქალაქისა და რაიონის ნაკრები გუნდებიც. ბრწყინვალედ იასპარეზა ქალაქ ზუგდიდის ტანმოვარჯიშე ვაჟთა გუნდმა, რომელმაც საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის ისტორიაში პირველმა დაარღვია თბილისელთა ძლიერი გუნდის ტრადიციები და დამსახურებულად მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონობა. მეორემესამე ადგილზე თბილისისა და აჭარის ნაკრები გუნდები გამოვიდნენ.

სპორტის ოსტატთა შორის სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა დათო ქვარცხავამ. მისი „ნადავლია" 4 ოქროსა და 2 ვერცხლის მედალი. იგი უძლიერესი იყო ტაიჭზე, რგოლებზე, ბჯენით ხტომებსა და ორძელზე. მეორე ადგილი და საერთო ჯამში ორი ოქროსა და 4 ვერცხლის მედალი ხვდა წილად ზვიად ყალიჩავას (მეათე საშუალო სკოლა), მესამე ადგილი დაისაკუთრა უდავოდ პერსპექტიულმა და ნიჭიერმა სპორტსმენმა ვახტანგ კვირკვიამ. კვლავ გაგვახარა 12 წლის ტანმოვარჯიშემ დიმიტრი წითაშვილმა (მეორე საშუალო სკოლა), რომელმაც თანატოლთა შორის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა და ორი ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. გუნდური პირველობისათვის ოქროს მედლებს დაეუფლნენ გოგა სორდია (რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი), ლევან ბუაძე (მეთორმეტე საშუალო სკოლა), ზვიად ჭიქია (მეთოთხმეტე საშუალო სკოლა), ზაზა ქობალია (მეათე საშუალო სკოლა). ბრინჯაოს მედლები ერგოთ დათო ეხვაიას (მეორე საშუალო სკოლა), გოგიტა ქირიაზა (ჭითაწყარის რვაწლიანი სკოლა) და ავთანდილ ბუკიას (მეთორმეტე საშუალო სკოლა).

ეროვნულ ჩემპიონატში ზუგდიდელ ტანმოვარჯიშეთა ესოდენ შთამბეჭდავი გამარჯვებისათვის ოქროს მედლით დაჯილდოვდნენ გუნდის მწვრთნელები გოჩა ხარებაშვილი, მეორე მწვრთნელი ალიოშა ჩქოტუა და გუნდის ექიმი პაველ ქვარცხავა.

რაც შეეხება ზუგდიდის რაიონის გუნდს, მან მეხუთე ადგილი დაიკავა და ქალაქისავე სასტუმროში ხაკლია ისეთ განთქმულ კოლექტივებს, როგორებიც არიან ქუთაისის და ავჭალის ნაკრები გუნდები.

დიახ, ზუგდიდელ ტანმოვარჯიშეთა წარმატება სახეზეა და თითქოს არავის მიმართ არ უნდა გვქონდეს პრეტენზია, მაგრამ... გამარჯვების, დაძლეულ მწვერვალის შენარჩუნება სჭირდება. ეს კი სავსებით გასაგებია, თუკი სპორტსმენებს არ შევუქმნით ნორმალურ სამეცადინო პირობებს. დღეს კი რა ხდება? ტანმოვარჯიშეთა საწვრთნელ დარბაზს აწყობს, მინები ჩამტვრეულია, არ არის გასახდელი, საპირფარეშო.

ვინ უნდა ითავოს ყოველივე ამის მოწესრიგება?

**ჯ. არძანია.**

---

# ფაჩუკიოწით ბატარეჩ

## ინკუბატორი

ამას წინათ ქათმებმა,
შენ ხარ ჩემი ბატონი,
აისრულეს წადილი —
ნახეს ინკუბატორი.
მოიწონეს ძალიან,
ერთი რამ დაუწუნეს:
იმის ნაცვლად,
კრუხ-კრუხ-კრუხ...
რომ იძახოს, —
ზუზუნებს,

## მხატვარი

ზეცაც დახატა, ღრუბელიც,
ახლა კითხულობს ლალი:
—ქარის დახატვა მინდა და
როგორ დავხატო ქარი?
—დახატე ჩამოცვენილი
ვაშლი, ატამი, მსხალი,
წინ—ქუდი, უკან —
ზურიკო
და ეს იქნება ქარი!

## ალვის ხე

ეუბნება
ნატოს ნანა:
რად არ იხსამს
ნაყოფს ალვა?
—იმიტომ, რომ
ვერვინ ავა!

ანატოლ ქარდავა.

---

რუბრიკა

# ვის აწყობს დეფიციტი?

თვეზე მეტია მაღაზიის დახლებიდან გაქრა სიგარეტი. იქნებ ვიღაც ჩვენი ჯანმრთელობისათვის ზრუნავს? თუ ასეა, მადლობის მეტი რა გვეთქმის, დავთქვათ ყველამ ერთად და გადავიგდოთ თავიდან ეს მავნე ჩვევა. მაგრამ არ აჩქარდე მკითხველო (მხედველობაში მყავს არამწეველები, თორემ მწეველებმა კარგად იციან რა ხდება), საქმე ასე მარტივად როდია. სიგარეტი გაქრა დახლებიდან, მაგრამ უკლებლივ გადამყიდველთა ხელში აღმოჩნდა... და აი, ადრე მანეთად რომ ყიდდნენ სამოცდაათკაპიკიან „კოსმოსს", ახლა სოხუმის გამოშვება ორ მანეთად უნდა იყიდო, ხოლო როსტოვისა—სამ მანეთად. გამოდის, რომ ჩვენი საშუალო ხელფასი მხოლოდ სიგარეტისთვის თუ გვეყოფა.

არა გვგონია, ეს მდგომარეობა სიგარეტის დეფიციტით იყოს გამოწვეული. ხომ ყოველთვის შოულობენ მას ბოშა ქალები „ბრიტვა, ლეზვია, სიგარეტია",— რომ გაიძახიან.

მაგრამ ეს იყო რამდენიმე დღის წინ. შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო განყოფილების სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების მუშაკებმა ბაზრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ალკვეთეს სიგარეტით სპეკულაცია, გარეკეს ბოშა ქალები, რომლებიც გამვლელ გამოვლელებს ფეხებში ებლანდებოდნენ. ეს კარგი საქმეა, მაგრამ რა ვქნათ თამბაქოს მწეველებმა, რომ ასე იოლად ვერ ვანებებთ თავს ამ ცუდ ჩვეულებას. ახლა სიგარეტი არც გამყიდველებს აქვთ და არც მაღაზიებშია.

იქნებ ვაჭრობის მუშაკები ფიქრობენ, რაც უფრო მალე გადაეჩვევით თამბაქოს, ეს მით უფრო კარგია თქვენი ჯანმრთელობისათვისო. თუ ეს განზრახვა უდევს საფუძვლად სიგარეტის დეფიციტს მადლობის მეტი რა გვეთქმის თამბაქოს მწეველებს, მაგრამ არა მგონია მთლად ასე იყოს.

ჩანს, ვიღაცას აწყობს ეს ეკონომიკური საბოტაჟი, დიახ, საბოტაჟი, სხვანაირად ამის შეფასება არ შეიძლება.

იმედია, გამოგვეხმაურებიან სათანადო დაწესებულებები, თუ ქვეყანა მართლა ჩალით არ არის დახურული.

**დავით ჩალიგავა,**
ომისა და შრომის ვეტერანი.

---

### ცხადდება კონკურსი

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი—ისტორიული მუზეუმი აცხადებს კონკურსს უფროს მეცნიერ-თანამშრომლის 2 (ორი) ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სპეციალობით მათემატიკოსებს და ისტორიკოსებს (არქეოლოგი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: განცხადება დირექტორის სახელზე, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი, ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ორი ცალი ფოტოსურათი (3X4)

კონკურსის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. №1.

ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის დირექცია.

---

### ყურადღება!

ქ. ზუგდიდში მცხოვრები ფიფიების საგვარეულო საქველმოქმედო საზოგადოების შექმნასთან დაკავშირებით ფიფიების ოჯახის ხელმძღვანელებს ვთხოვთ შეგვატყობინონ თანხმობა ასეთი საზოგადოების შექმნაზე.

ამასთან მოგვაწოდეთ ბინის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ცნობა ოჯახის შემადგენლობისა და მოსაქმეობის შესახებ შემდეგი მისამართით: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. №60, აგროსამრეწველო გაერთიანება. ტელეფონები: 2—25—34, 2—32—34.

ვაჟა ფიფია.

---

მეუღლე შალიკო. შვილები: ლოთარი, თამარი, დუმერი. ძმა შალიკო ტურავა, რძლები: ვარო ცოხვერია, მთვარისა კეზუა. კლარა ინჩაბაძე, ნიურა კვარაცხელია, თალიკო ბერაია. სიძეები: ჟორა ბუკია. კახა ჯიქია. შვილიშვილები: ნათია. თემური. გოგაინგა ბოლქვაძე. ლექსო ჯიქია, მაზლო ჯოტო ბულია, მული ვარვარა, ქსენია, ვარდიშა, შურა ბულიები. ძმისშვილები: ნონა. დოდო. ნანა, ვახტანგი. ლარისა ტურავები, მზახლები: ნელი. ჟორა კეზუები. გული ელიავა, ნუცა. მოსე ჯიქიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები. დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ვენერა ეტოს ასულ ტურავა-ბულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5. 6 ივნისს. დაკრძალვა 7 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ენგელსის 90.

---

შვილები: ლინა. ანიკო. კლიმენტი. რძლები: მანანა, მიმოზა. ნინა, მულები: ცუცა, გულო, ვენე, მარო. სიძეები: ინგიშერ ბაკარანძე. ლავრენტი ყორშია. ოროდენ ძანძავა. დემურ ჰაფანძე, შვილიშვილები: გიზო. რუსლანი, თენგიზი, შორენა. ხატია ვახანიები. ლონდა. ბორისი. სოსო, ზური. ბადრი. ფატიმა გაბელიები, ძმისშვილები ვახტანგი, გემოშა კაკულიები, მაზლიშვილები ვაჟა, ნუცა. ნათელა. კაპიტონი. ვალერი. ჯამბული, როზა ვახანიები. პატიკო სვანიძე, გიგლა. ნუნუ. ციხარა ყორშიები, თამაზი. რევაზი ძანძავები. ზაირა. გულიცური გულუები. ბიძაშვილი ლილი გაგუა იუწყებიან

**ვარო მაქსიმეს ასულ კაკულია-ვახანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 4. 5. 6 ივნისს. გამოსვენება 7 ივნისს. ზუგდიდი, ლერმონტოვის ქ. 43. დაკრძალვა განმუხურში.

---

ქალაქის №4 საშუალო სკოლის 1976 წლის კურსდამთავრებულები და პედაგოგები იუწყებიან

**ჯონი იპოლიტეს ძე რიგვავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მამა ივანე, მეუღლე გოგუცა, შვილები: მხიარული, ალიომა, ელგუჯა. დები: გოგოლა, გული. რძლები ქეთო. თინიკო. ეთერი, ნანი. სიძე ანატოლი გოგოხია, ჟორჟი თორდია, ხუტა ღურწკაია, შვილიშვილები: თამუნა, თეონა. ირაკლი. ცოლისძმები: პოლიკარპე. ლეუშა. მირიანე. სტარშიკო. ცოლისდა ლუიკო წურწუმია. ძმისშვილები: ასლანი, რუსლანი, ასმათი. გელა. რომანი. დისშვილები: გოჩელი. ნიკო. პალმირა თორდიები. ზაური ღურწკაია. ბიცოლები: მარგო. ვენერა. მზახლები: ნადია. ნაპო სოსელიები, ბიძაშვილები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**დათიკო ივანეს ძე ზარქუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 ივნისს. დაკრძალვა 5 ივნისს ს. ორსანტიაში.

---

შინაგან საქმეთა ზუგდიდის რაიგანყოფილება იუწყება

**ვალერიანე ალექსის ძე შამათავას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

უერვალი და ნუნუ პაჭკორიები შვილებით ძათო და ინგათი იუწყებიან

**ჯონი იპოლიტეს ძე რიგვავას**

გარდაცვალებას.

---

დედა ამნაზი. მამა გენო. ძმა ანზორი. ბებიები: ნუცა. თამარა, ბაბუა ჯახუ ხუბულია, დეიდები: ლეილა. დალი. ლალი. მამიდები: მზია. ვენერა. ტასო. როზა.. ანერი, ნახული. ბიძები მურთაზ ხუბულია. ელდარ კვიციანი. თემურ მიქელაძე. როინ ქვანია, ბორის ხუნჯგურუა, გოგა ქენქაძე. ავთო მარქარაშვილი, კარლენი ხავთასი, ავთო გავაშელი, ვალოდია ნარსავიძე. ბიცოლა მაყვალა კანკია. ბიძაშვილები. მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**გელა გენოს ძე კვიციანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 ივნისს. დაკრძალვა 5 ივნისს 7 საათზე სოფელ შამგონაში.

---

შამგონის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი, ტექპერსონალი, მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები იუწყებიან

**გელა გენოს ძე კვიციანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლის 1989 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

**გოჩა გალაქტიონის ძე შენგელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ძმისშვილი თემური. რძლები: ლელი. ლამარა, მზია. და ნუნუ, ძმა არჩიკო, სიძეები: ვახტანგი ყორშია, რეზო ზარანდია, დათიკო საჯაია, ზურაბ აბურჯანია. დისშვილები ბელა ჯობავა, ლუდმილა, გოგი ყორშიები, ბიძაშვილები: ია, ანისა, მარგო. ლუბა ჟიჟინო, ნერო. ლუნა. მამია. იაშა ხაზალიები ოჯახებით იუწყებიან

**გული ივანეს ასულ ხაზალიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 5. 6 ივნისს, 7 საათზე. დაკრძალვა 7 ივნისს სოფ. ორსანტიაში.

---

საწარმოო გაერთიანება „საქქალაქდმრეწვის" კოლექტივი, იურიდიული სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება

**ზაურ (თემური) აკაკის ძე ქადარიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დედა ლოლა. მეუღლე ნელი ქვაჩაკიძე, შვილები თინიკო. მიხო. დები: მარგო, ლეილა, ძმები: ნოკო. კარლო, დემური, ანზორი ალანიები. რძლები: ია, მადონა. მზევინარი, ელისო იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**არჩიკო მაქსიმეს ძე ალანია.**

პანაშვიდი 2 ივნისს 7 საათზე, გამოსვენება 3 ივნისს 4 საათზე, თბილისი. მირცხულავას ქ. 3 (ა) მეხუთე სადარბაზო. მესამე სართული. ბინა 108. (დიდუბე).

---

შვილი იზოლდა, სიძე ვახტანგი. შვილიშვილები ანა, გიორგი არონიები იუწყებიან

**ოლგა ათანასეს ასულ სიკოპლესოვას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2 ივნისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კარლ-მარქსის ქ. 41დან.

---

**რედაქტორი**
**აკ. ჭანტურია.**

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის — 2-24 80 რედაქტორის მოადგილის — 2 35 69, პასუხისმგებელი მდივნის — 2 31 96 სოფლის მეურნეობის განყოფილების — 2-21 78 მშრომელთა წერილების — 2-25 12, რეპორტიორის — 2 47 09

საქ. სსრ გამომცემლობის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000. შეკ. №2336